ცნობის ფურცელი

№ 2564 კვირა, 25 ივლისი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2564

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ნიკოს ძე და კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ხოფერია აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 31 ივლისს, დილის 10 საათზე, შხეფის მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში გარდახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი პირველის ასულისა და მეორეს დის

ნატაშა (იგივე მართა) ხოფერიას ასულის

სულის მოსახსენებლად. (1—3429—1)

ქუთაისში
სასტუმრო „როსია“
1904 წლის პირველ მარიამობისთვიდან გადადის იკოლაძის სახლებში გიმნაზიის ქუჩაზე ქალაქის ულვარის პირდაპირ მთავარ-ანგელოზის ეკლესიის ვერდით. (15—კ. ნ.—13).

შემთხვევით
იაფად იყიდება
ორთქლით (паровая) მომუშავე მანქანა 20 ძალისა—ქვაბით და ორთქლით მომუშავე წისქვილი. იერ კავკასის რკინის გზის სად. ძეგამიდან 70 სა- ენის მოშორებით. ადრესი: სად. ელისავეტპოლი Ясевичу. (3—3421—2)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. ფილ. და კანისა 11—12 საათამდე.
მ. ფ. მუღინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს.
ექ. ვ. ხოზოლდევსკი.—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკე. 1—3 საათამდე.
ვ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველდღე.
ექ. ქალი მ. კ. იოხელიანი.—ქალისა და საშობიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 11—12 ს.
დ. მ. მონინი.—ქალისა, საშობიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.
ნ. ტუშიშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.
საღამოთი:
ე. ვ. ხოზოლდევსკი.—ქირურგია და ორტოპედია. ორშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.
სამკურნალოში ხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაქტერიოსკოპიული გამოკვლევანი.
სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.
(ფ.) ტელეფონი № 274.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 12—2 ს., საღამოთი 6—8 ს., სამშაბათობით მხოლოდ საღამოობით. კიროჩნის და დიდი მთავრის ქუჩ. კუთხე, სახლი სვანიშვილისა № 11 (კიროჩნი ქუჩიდან).

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 ივლისი

ლონდონი. „პენინსულარ ორიენტალ კომპანი“-ს ნაოსნო საზოგადოება აცხადებს: რადგან გამორკვეული არ არის, რა უნდა ჩაითვალოს და რა არა სამხედრო კონტრაბანდად, ამ საზოგადოების გემები არ მიიღებენ ისეთს მგზავრებსა და საქონელს, რომელიც შანხაის იქით არის წასაყვანი და წასაღებიო.

ჩიფუ. („რეიტ. სააგ.“). გემის „ხიპსანგ“-ის ერთმა მგზავრმა, რომელიც აქ „სიუბერგ“-ის გემით მოვიდა, სხვა-და-სხვა ამბავი მოიტანა პორტ-არტურის შესახებ. ამ კაცის სიტყვით, იაპონელებმა 13—15 ივლისს იერიში მიიტანეს გარეთა სიმაგრების ასაღებად, სახელდობრ: მგლისა, მწვანისა და ჯვრის გორების ასაღებად. ეს გორები პორტ-არტურის ჩრდილოეთ-დასავლეთით მდებარეობენ. იაპონელებმა აიღეს მხოლოდ მგლისა და მწვანე გორები. პორტ-არტურის გაზეთის, „ნოვი კრაი“-ს სიტყვით, ამ ბრძოლის დროს რუსებს მოუკლეს 200 და დაუჭრეს 800 კაცი, ხოლო იაპონელებს მოუკლეს და დაუჭრეს 17,000 კაცი. ამბობენ, იაპონელებმა გაისროლეს 25000 საშრაპნელო ყუმბარაო. ჰფიქრობენ, რომ იაპონელებს პორტ-არტურთან 180,000 კაცამდე ჰყავთო. 15 ივლისს, საღამოთი, მებრძოლთ დროებით ზავი ჩამოაგდეს მოკლულთა გვამების დასასაფლავებლად. გვამებით მოფენილი იყო ფერდობები. 13 ივლისს რუსის ესკადრა ნავთსადგურიდან გავიდა და იერიში მიიტანა ადმირალ ტოგოს ესკადრაზე, რომელიც ნაღმებით დაფენილ ადგილს ამოუდგა. იაპონელთა საკანონერო ნავი ნაღმს წააწყდა და დაზარალდა. ეს ნავი იაპონელებმა ბუქსირით წაიღეს. რუსის ესკადრა უზარალოდ უკან დაბრუნდა. რუსის ჯარის უმთავრეს რაზმებს უჭირავთ მკვიდრად გაკეთებული სიმაგრეები. ეს სიმაგრეები ციხესა ჰგავს. საბოლოო და უკანასკნელი იერიში იაპონიის ჯარისა მოხდება უთუოდ 2 აგვისტოს. ყველა დარწმუნებულია, რომ იაპონელნი ციხეს ვერ აიღებენ, თუმცა თავგამოდებით და მამაცად იბრძვიან. ამ ჟამად იაპონელები დიდ ზარბაზნებს სდგამენ იმ გორაკებზე, რომელიც რუსებს წაართვეს. ამბობენ, „რეტვიზან“-იდან ყუმბარა ესროლეს იმ ზარბაზანს, რომელიც იაპონელებს მგლის გორაზე აჰქონდათ; ყუმბარა ზარბაზანს მოხვდა და რამდენიმე კაცი მოჰკლაო. რუსის ჯარს მგლის გორაზე გენერალი ფოკი უფროსობდა. გენერალი სტესსელი მხნედ მოქმედებს: დგება გათენებისას და ათვალიერებს თავისს პოზიციებსაო.

ლონდონი. „ოკეან კომპანი“-სა და „შინა კომპანი“-ს საზოგადოებებმა დროებით შეაჩერეს იაპონიაში გემების გზავნა, რადგან არ იციან, რა საქონელი უნდა ჩაითვალოს კონტრაბანდად და რა არა. ინგლისის კოლუმბიაში მიმავალი გემები საქონელს იაპონიაშიაც შეიტანენ, მაგრამ განსაკუთრებულ პირობით: გემის დამქირავებელმა ხელწერილი უნდა დასდოს, რომ საქონელი კონტრაბანდას არ შეიცავს.

24 ივლისი

პეტერბურგი. გაზეთ „კენიგსბერგერ გარტუნგშე ცაიტუნგ“-ში დაბეჭდილია წერილები ბრძოლის ველზე საქმის მდგომარეობის შესახებ. წერილები ეკუთვნის ორ გერმანელ აფიცერს, რომელნიც რუსეთის მებრძოლ არმიაში არიან. პოლკოვნიკი გედკე ჰფიქრობს, რომ რუსეთის არმია ნამდვილ მოქმედებას დაიწყებს აგვისტოს მეორე ნახევარში. იმის ანგარიშით, რუსებს სექტემბრის დასაწყისში (ახალის სტილით) ბრძოლის ველზე ეყოლებათ 450—500 ათასიანი არმია. ამ არმიის უკან, ზაბაიკალის ოლქში, რკინის გზის ლიანდაგის გაყოლებაზე, რუსებს ეყოლებათ ძლიერი სარეზერვო ჯარი. გედკეს აზრით, ციმბირის რკინის გზა თუმცა ევროპის რკინის გზებივით ვერ მუშაობს, მაგრამ არც ისე ცუდად ასრულებს თავის საქმეს, როგორც ევროპაში ჰგონიათ. მცოდნე სამხედრო წრეებსაც-კი ეგონათ წინად, რომ ციმბირის რკინის გზა დღეში 700 კაცზე მეტს ვერ გადაზიდავსო, ახლა-კი დამტკიცდა, რომ დღეში სამჯერ მეტის გადაზიდვა შეუძლიან არტილერიითა და ცხენებით. მეორეს მხრით, ამბობს გედკე, იაპონიის ჯარის მდგომარეობა არც ისე კარგია, როგორც ევროპაში ჰგონიათ რეკლამის წყალობითაო. მეორე ცნობილი მწერალი ტანერა სწერს შემდეგს: „ბევრი ჩემი მკითხველი უეჭველია დამეკითხება, რა აზრისა ვარ ომის შესახებ. თუმცა მეტად ძნელია ომის გათავებაზე წინასწარმეტყველება, მაგრამ მხდალად ჩავთვლი ჩემს თავს, ჩემი აზრი გულ-ახდილად რომ არ მოგახსენოთ. პორტ-არტურის აღების შესახებ მე სულ სხვა აზრისა ვარ, ვიდრე იაპონელთა ჯარის ყოფილი მასწავლებელი გენ. მეკკელი. იმას სწამს, რომ იაპონელები მალე აიღებენ პორტ-არტურს, მე-კი არა მჯერა: ჩემის ფიქრით, იაპონელები ან ვერასოდეს ვერ აიღებენ პორტ-არტურს ან აიღებენ მაშინ, როცა იმის აღებას არავითარი ფასი და მნიშვნელობა არ ექმნება იაპონელებისათვის. ჩემის აზრით, იაპონელებმა უკვე წააგეს ომი. გამარჯვების იმედი მათ მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ჰქონოდათ, თუ პორტ-არტურს მისვლისათანავე აიღებდნენ და აგრეთვე თუ ჩრდილოეთ-კორეაში გამაგრდებოდნენ. ხოლო მანჯურიაში წინსვლა შეცდომა იყო: აქ მოელით იაპონელთ სრული დამარცხება. ვფიქრობ, რომ რუსების განზრახვაა, რაც შეიძლება შორს გაიტყუონ იაპონელთა ყველა ჯარი. თუ ამისთვის მუკდენისა და სხვა ქალაქების დატოვებაც დასჭირდათ, არც ეს იქმნება საზარალო რუსებისათვის. რუსის ჯარის უკან დაწევა იმ დრომდეა საჭირო, სანამ მანჯურიაში საკმაო მომშველი ჯარი არ მოუვათ, სანამ არ შეერთდებიან ბალტიის ზღვის და ვლადივოსტოკის ესკადრები და წითელ ზღვაში მომქმედი კრეისერები, სანამ სულ არ დაამარცხებენ იაპონიის ფლოტს და ზღვაში არ გაბატონდებიან. მხოლოდ მაშინ რუსეთის არმიას შეეძლება წინსვლა დაიწყოს, თუნდა ხარბინიდანაც. მაშინ დაიწყება საშინელი უკან დახევა იაპონელებისა; ეს იქნება მეორე ბერეზინა იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში მდინარე ბერეზინას მაგიერობას ოკეანე გასწევს; ეს მოხდება ან ზამთარში ან გაზაფხულზე 1904—1905 წ.წ. ეს იქნება იაპონიის დაღუპვაც. ახლა თავი და თავი საქმე ისაა, მოახერხებს თუ არა კუროპატკინი უკან წასვლას, თუნდაც ამისთვის 30—50 ათასი კაცი დაჰკარგოს?

ადენი. დობროვოლნი ფლოტის გემმა „პეტერბურგ“-მა ადენზე გაიარა და აღმოსავლეთისაკენ წავიდა.

ტიანძინი. („რეიტ. სააგ.“). ბეიტანში ხუთშაბათს დიდ ხანს ისმოდა ზარბაზნების ხმა პორტ-არტურიდან. ნამესტნიკი მუკდენში რჩება.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-3 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „ბერლინერ ტაგებლატ“-ის სამხედრო კორესპონდენტი პოლკოვნიკი გედკე იუწყება: გენ. კუროპატკინი ნელ-ნელა ფრთხილად უკან იხევს, იაპონელებიც თან მოსდევენო. დიდი ბრძოლა, ალბად, ლიაოიანის აღმოსავლეთით მოხდება, იქ, სადაც რუსის ჯარის მარჯვენა ფრთა დგასო. („რ. ლ.“).

„ტაიმს“-ს დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან: გენ. კუროკის მთავარ-სადგომიდან ამბავი მოვიდა, გენ. კუროპატკინს ლიაოიანს ახლო თხავუანთანა და კაპადინთან დიდი ჯარი უდგაო. ჰფიქრობენ, ამ ადგილებში დიდი ბრძოლა მოხდებაო. („ნ. დ.“).

ფრანგულ გაზ. „მატენ“-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება: პეტერბურგში ჰფიქრობენ, ალბად, ლიაოიანთან დიდი ბრძოლა მოხდებაო.

უცხოეთის გაზეთები იუწყებიან: უცხოელ კორესპონდენტებს გამოუცხადეს, ლიაოიანიდან სხვაგან გადასახლდითო. კორესპონდენტები ხარბინს წავიდნენო. („რ. ლ.“).

„კრონშტადსკი ვესტნიკ“-ი იუწყება: ბალტიის ესკადრას ბეჯითად ამზადებენ შორეულ აღმოსავლეთს გასაგზავნადაო.

ტოკიოდან ატყობინებენ ინგლისურ გაზეთებს: ვლადივოსტოკის ესკადრამ სუნგარის სრუტე გაიარა და ვლადივოსტოკს წავიდა. ამას იქით იაპონიის მთავრობა 4 კრეისერს გაჰგზავნის და დაავალებს, რომ რუსის ესკადრას ბეჯითად ადევნოს თვალყური. შემდეგში ადმირალ ტოგოს ესკადრაც ვლადივოსტოკისაკენ წავა.

მას აქეთ, რაც ომი დაიწყო, რუსის კანონერი გემი „სივუჩ“-ი ინკოუში იდგა. ამ დღეებში „რეიტერის სააგ.“ იუწყებოდა, რუსის მეზღვაურებმა „სივუჩ“-ი ააფეთქეს და თითონ ლიაოიანისაკენ წავიდნენო, მაგრამ ბევრს არა სჯერა ეს ცნობა. ზოგი ამბობს „სივუჩ“-მა პორტ-არტურში გაქცევა მოახერხა, ზოგი ამბობს, „სივუჩ“-ი იაპონელებმა დაიჭირესო. („ნ. დ.“).

როგორც ვიცით, 2 ივნისს კორეის სრუტეში რუსებმა იაპონელების სატრანსპორტო გემი „ხიტაჩიმარუ“ დაჰღუპეს ზღვაში. ამ გემის უფროსი ინგლისელი კაპიტანი კემპბელიც ზღვაში დაიღუპა. „დეილი ტელეგრაფ“-ს დეპეშით ატყობინებენ შანჰაიდან: იაპონიის იმპერატორმა ბრძანება გასცა, კაპიტანი კემპბელი სამხედრო პატივით დაასაფლავეთო. სატრანსპორტო გემებზე 2 ივნისს სხვა ინგლისელებიც იყვნენ; იაპონიის იმპერატორმა ამათაც ამომავალ მზის ორდენები უბოძა ჯილდოდ.

როგორც ვიცით, 18 ივლისს ლიაოიანის გზაზე, იანზელინის ულელტეხილთან ბრძოლის დროს აღმოსავლეთის რაზმის უფროსი გენ. გრაფი კელერი მოჰკლეს. განსვენებული გრაფი 1850 წ. დაიბადა; განათლება პაჟების კორპუსსა და მთავარ-შტაბის აკადემიაში მიიღო; 1877—1878 წ. ოსმალეთთან ომის დროს გენ. სკობელევის რაზმში მსახურობდა. ომის შემდეგ სხვა-და-სხვა თანამდებობა ეჭირა; 1900 წელს ეკატერინოსლავის გუბერნატორად დაინიშნა. ეხლანდელი ომი დაიწყო თუ არა, გრაფი კელერი სამხედრო მოქმედების ასპარეზზე წავიდა და მალე აღმოსავლეთის რაზმის უფროსად დაინიშნა. განსვენებული გრაფი უნიჭიერეს გენერლად ითვლებოდა რუსის ჯარში.

გენ. კელლერის გარდაცვალების ამბავმა მეტად დაღონა პეტერბურგის საზოგადოება, მეტადრე სამხედრო წრეები. გრაფი კელერი ადრე პეტერბურგში პაჟების კორპუსის დირექტორად იყო და პეტერბურგის საზოგადოებას ძლიერ შეაყვარა თავი. („რ. ლ.“).

პორტ-არტური. იაპონიის საელჩომ გამოაცხადა ლონდონში: 17 ივლისს პორტ-არტურის შტურმი დაიწყოო. იაპონელებს 240 მძიმე საალყე ზარბაზანი აქვთ პორტ-არტურთანაო.

ინგლისურ გაზეთებს ატყობინებენ: 15 ივლისს აქეთ იაპონელები ზარბაზანს ესვრიან პორტ-არტურს. მარშალ ოიამას პორტ-არტურთან 60 ბატარეია აქვსო. იაპონელებმა პორტ-არტურთან ყველა მნიშვნელოვანი პოზიცია დაიჭირეს ოქროს გორის („ზოლოტაია გორა“). გარდა. 15, 16, 17 ივლისს დიდი ბრძოლა მოხდა და რუსებსაც და იაპონელებსაც დიდი ზარალი მოუვიდათო. („ბ. ვ.“).

დეპეშებს თითქმის ყოველ დღე მოაქვთ ცნობა, იაპონელებმა პორტ-არტურზე ძლიერი იერიში მიიტანესო. „ბერლინერ ტაგებლატ“-ის სამხედრო თანამშრომელი ჰფიქრობს, ივლისის ნახევარში იაპონელებმა, ალბად, პორტ-არტურის წინ სიმაღლეებზე მიიტანეს იერიში და არა ციხის ფორტებზეო. ჯერ ამ სიმაღლეებს დაიჭერენ, ზედ ზარბაზნებს დასდგამენ, ციხის ფორტებს დაუშენენ და მერე ციხეზე მიიტანენ იერიშსაო. („ნ. დ.“).

„დეილი ექსპრეს“-ი იუწყება: პორტ-არტურის ახლო მდებარე ადგილებიდან ჩინელები მოვიდნენ ჩიფუში და ილაპარაკეს, პორტ-არტურთან 13 ივლისს [illegible] აშინე-

ლი ბრძოლა დაიწყოო. იაპონელებმაც და რუსებმაც ისეთი საშინელი ზარბაზნის სროლა ასტეხეს, რომ ამასთანა ჯერ ისტორიაში არა ყოფილაო. იაპონელები თან-და-თან წინ მიდიანო. („რ. ლ.").

უცხოეთის გაზეთები იუწყებიან: იაპონელებს პორტ-არტურთან 80 ათასი კაცი ჰყავთო. („ნ. დ.").

პორტ-არტურიდან მოსულ ჩინელებს ულაპარაკნიათ ჩიფუში, პორტ-არტურში ახალი ხორცი აღარ იშოვებაო, მეციხოვნე ჯარს დამარილებულ ხორცს აჭმევენ, კერძო ხალხი კი ფქვილსა და ბრინჯსა სჯერდებაო. („ნ. დ.").

ადმირალმა ტოგომ ოფიციალურად მოახსენა იაპონიის საზღვაო მთავარ-შტაბს: 11 ივლისს, გათენების ხანს, სიენშის კონცხის ახლო (პორტ-არტურის აღმოსავლეთ მხარესაა), ჩვენის ნაღმიან გემების მე-14 ფლოტილიამ ლეიტენანტ კუვაშიტას უფროსობით, ორმა კანონირმა გემმა და ჯავშნიან გემების „მიკაზა"-სა და „ფუჯი"-ს ნაღმიანმა გემებმა იერიში მიიტანეს რუსის კონტრ-ნაღმიან გემებზე. ჩვენმა ფლოტილიამ ნაღმები ესროლა რუსის გემებს; სამმა ნაღმმა იფეთქა. კანონირი გემები მტერს მიუახლოვდნენ და ზარბაზანი დაუშინეს. ხშირი ჯანღი იდგა და სწორედ ვერ გავიგეთ, რა ზარალი მოუვიდა მტერს; ის-კი ნამდვილად გავიგეთ, რომ 3 რუსის კონტრ-ნაღმიანი გემი ჩაიძირა. ჩვენ არაფერი ზარალი არ მოგვსვლიაო. („ბ. ვ.").

იაპონელი მეზღვაურები 13 ივლისს კანონირ გემით ლუნვანტანის ახლო (პორტ-არტურის ახლოა, აღმოსავლეთით) ზღვაში ჩაწყობილ ნაღმებს ეძებდნენ. კანონირ გემის ბურღი თოკს მოედო (ამ თოკით ნაღმებს იღებდნენ) და გემი ველარ დაიძრა. რუსის სანაპირო ბატარეებმა ზარბაზანი დაუშინეს და რუსის კონტრ-ნაღმიანმა გემებმა იაპონელების გემს იფეთქება მოუნდომეს, კაპიტანი ხიროზე და 13 მატროსი დასჭრეს, მაგრამ იაპონელებმა მაინც გულადად განაგრძეს თავიანთი საქმე, ბურღი გაანთავისუფლეს და გემი სიაობინდაოს (ქ. დალნის მხარესაა) წაიყვანეს. („რ. ს.").

ბრძოლა დაშიჩაოსთან 10 და 11 ივლისს. რუსებმა ძლიერ გაამაგრეს დაშიჩაო; ჯარიც ბლომადა ჰყავდათ იქა და ზარბაზანიც ბევრი ჰქონდათ. ამიტომ ყველას ეგონა, დაშიჩაოსთან დიდი ბრძოლა მოხდებოდა და რუსები ადვილად არ დასთმობდნენ ამ დიდად მნიშვნელოვან სტრატეგიულ ადგილს; ბოლოს კი, ორის დღის ბრძოლის შემდეგ, რუსებმა უკან დაიხიეს. ეს უკან დახევა მით უფრო გაუკვირდა ყველას, რომ თითონ რუსები ირწმუნებიან, ამ ბრძოლის დროს რუსის ჯარმა და არტილერიამ აჯობა იაპონელებისასაო. „ნოვოსტი დნია"-ს სამხედრო თანამშრომელი სწერს: 10 და 11 ივლისს დაშიჩაოსთან იაპონელები მხოლოდ იმასა ცდილობდნენ, რომ რუსის ჯარის ძალა და პოზიციები კარგად გაეგოთ; ნამდვილ ბრძოლასა და იერიშის მიტანას რუსის ჯარზე 12 ივლისს აპირებდნენ. მაგრამ რუსის სარდლები დროზე მიჰხვდნენ გენ. ოკუს განზრახვას და 12 ივლისს ღამეს უცებ ხაიჩენისაკენ დაიხიეს. ამას გარდა მესამე არმიამ სიმუჩენთან იერიში მიიტანა რუსის რაზმზე და უკან დაახევინა; გენ. ზარუბაევს რომ დაშიჩაოდან ხაიჩენისაკენ წამოსვლა დაჰგვიანებოდა, გენ. ნოძუ ზურგიდან მოექცეოდა და გზას მოუჭრიდა. აკი რუსის ჯარმაც დაშიჩაო მიატოვა და ჩრდილოეთისაკენ დაიხია...

„რეიტერის სააგენტო" იუწყება: ეხლა გამოირკვა, რომ იაპონელებს დაშიჩაოსთან ბრძოლის დროს 12 აფიცერი და 136 სალდათი მოუკლეს, 47 აფიცერი და 848 სალდათი დაუჭრესო.

„რუსი"-ს კორესპონდენტი იუწყებოდა ლიაოიანიდან: რუსებს ამ ბრძოლის დროს 1000 კაცამდე მოუკლეს და დაუჭრესო.

გენ. ოკუმ მოახსენა იაპონიის მთავარ-შტაბს: დაშიჩაოსთან დატყვევებულმა რუსის აფიცრებმა მიამბეს, ვითომ ამ ბრძოლის დროს რუსის გენერლები კონდრატოვიჩი და სოკოლოვი დაჭრილან, ჯარს თითონ გენ. კუროპატკინი უწევდა ხელმძღვანელობას და 2 ათასამდე კაცი დააკლდათ რუსებსაო. („რ. ლ.").

ბელგიურ გაზ. „ინდაპანდან ბელჟ"-ს სწერენ ტოკიოდან: რუსებმა რომ უკან დაიხიეს, დაშიჩაოს ცეცხლი წაუკიდეს და დასწვესო. როცა იაპონელები დაშიჩაოში შევიდნენ, მთელ ქალაქს ცეცხლი ჰქონდა მოდებულიო. რუსებს ძლიერა ჰქონდათ გამაგრებული დაშიჩაო; 9 მილის მანძილზე სამხრეთისაკენ მრავალი სიმაგრე ჰქონდათ აშენებულიო. („ს. დ.").

ლიაოიანიდან დეპეშით ატყობინებენ „პეტერბ. გაზეტა"-ს: დაშიჩაოსთან მომხდარ ორის დღის ბრძოლის შემდეგ მოწყალების დანი დაჭრილების მოვლას ველარ ასდიან; აქ მოყვანილი ჯარის კაცები უფრო ხშირად თავში არიან დაჭრილნი; ტომსკის პოლკის უფროსი ყუმბარას დაუჭრიაო.

დაშიჩაოსთან ბრძოლის შემდეგ რუსებმა ინკოუც მიატოვეს. ამერიკის კონსულმა მილერმა მაშინვე შეატყობინა იაპონელებს, ჩქარა მოდით, ჩინელმა ყაჩაღებმა ქალაქი არ აიკლონო. იაპონელები მოვიდნენ და ქალაქში წესიერება აღადგინეს. ინკოუს გენერალ-გუბერნატორად მაიორი ტაკაიამა დაინიშნა; ტაკაიამამ ქალაქში პროკლამაცია გააკრა და ყველას გამოუცხადა, ინკოუს მცხოვრებლების სიცოცხლესა და ქონებას ჯარი დაიცავს ამას იქითაო. („რ. ს.").

ახალი ამბავი

◆ როგორც „კავკაზ"-შია გამოცხადებული, ბაქოს გუბერნატორს უცნობებია კავკასიის უმაღლეს მთავრობისათვის, რომ 22 ივლისს ბაქოში ერთი კაცი **გახდა ავად ხოლერით.** ეს ავადმყოფი რჩება თურმე.

◆ ხვალ, 26 ივლისს, გუბერნატორის თავმჯდომარეობით, მოხდება საგუბერნიო სასანიტარო კომისიის სხდომა. რადგან ბაქოში **ხოლერა უკვე გაჩნდა,** სასანიტარო კომისია ჰფიქრობს საჩქაროდ სხვა და სხვა ზომების მიღებას.

◆ 23 ივლისს ტფილისის სასანიტარო კომისიამ დაადგინა, მისწეროს ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას, შეუდგეს ეხლავე სახელოსნოებიდან მტკვრამდე გაყვანილ **არხის გასუფთავებას.** შემდეგ, როცა ხოლერის გაჩენის შიში გაივლის, კომისია რკინის გზის გამგეობას დაუნიშნავს ვადას, რომლის განმავლობაშიაც მან უნდა გააუქმოს ეს არხი და სახელოსნოებიდან მტკვრამდე უსუფთაობისათვის მილი გამართოს.

◆ რათა ტფ. გუბერნიიდან თერგის ოლქში **ხოლერა არ შევიდეს,** ოლქის უფროსმა სთხოვა გუბერნატორს, განკარგულება მოახდინოს, რომ საქართველოს სამხედრო გზაზე გაიმართოს რამდენიმე სადარაჯო და თავშესაფარი ხოლერიანთათვის.

◆ სასანიტარო კომისიამ რამდენჯერმე სთხოვა პოლიცმეისტერს, განკარგულება მოახდინოს, რომ **ქუჩებს მეეზოვენი დილა ადრიან ჰგვიდნენ** და არა დღისით, მაგრამ საქმეს მაინც არა ეშველა-რა. ამის შესახებ სასანიტარო კომისიის უკანასკნელ სხდომაზე ერთხელ კიდევ ჩამოაგდეს წევრებმა ლაპარაკი. სხდომას დაესწრო პოლიცმეისტრის თანაშემწე, რომელმაც აღუთქვა კომისიას, ყოველ ზომებს მივიღებთ, რომ მეეზოვეებმა დროით დაასუფთაონ ხოლმე ქუჩებიო.

◆ 23 ივლისს სასანიტარო კომისიამ დაადგინა, დაავალოს სასანიტარო მზრუნველებს, დაიარონ და დაათვალიერონ **საცხოვრებელი სარდაფები.** იმ სახლის პატრონს, რომლის სარდაფიც ნესტიანი და უვარგისი იქნება, უნდა დაევალოს, მიიღოს ზომები სარდაფის გასაშრობად და მოსაწყობად. წინააღმდეგ შემთხვევაში სარდაფში ცხოვრება უნდა აიკრძალოს.

◆ რადგან ქალაქში **სამრეცხაოები** მეტად უსუფთაოდ ინახება, სასანიტარო კომისიამ დაადგინა, გამოსცეს მრეცხავთათვის სავალდებულო დადგენილებანი.

◆ ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ **ქალაქ ფოთს** ნება მიეცა აიღოს საობლიგაციო სესხი ორ-მილიონ მანეთისა. ამ ფულით უნდა გააფართოვონ მოლი, გამართონ სანაპირო, გააღრმაონ რეიდი და რიონი და სხვა. მინისტრთა კომიტეტის დადგენილება ამ სესხის შესახებ უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა 22 ივნისს. ამ დადგენილების ძალით, ფოთის ნავთ-სადგურის ტერიტორია ხაზინის სრულ საკუთრება ჰხდება; იგი დაექვემდებარება ნავთ-სადგურისა და სავაჭრო ნავოსნობის მთავარ-გამგეობას. რაკი ნავთ-სადგური ხაზინის ხელში გადავა, ყოველივე საქმის გაკეთება და ხელშეკრულობის დადება ნავოსნობის მთავარ გამგეობისაგან იქმნება დამოკიდებული.

◆ **ყვირილა.** ივნისის ბოლო რიცხვებში მოხდა არჩევნები ყვირილის ახლად დაარსებულ სასოფლო-სამეურნეო საურთიერთო ბანკის დროებით დირექტორებისა. ახლო მომავალში ბანკი მოქმედებას შეუდგება.

◆ **იაფ-ფასიან საჩაიების** მომწყობ საზოგადოებას განუზრახავს ოლგას ქუჩაზე, ვერაზე, გამართოს დიდი საჩაიე. ქალაქის სასანიტარო კომისიამ დაადგინა, 100 მანეთით დახმარება აღმოუჩინოს ამ საზოგადოებას.

◆ **სიღნაღის რწმუნებულთ** სამსახურის ვადა შემოდგომაზე, ოქტომბერში, უთავდებათ. სიღნაღის მამასახლისმა შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე, რომ რწმუნებულთა არჩევანი მოხდეს 20 ოქტომბერსა და 11 ნოემბერს შუა.

◆ ყაზახის მაზრაში ძეგამის ადგილებში

ფელეტონი

ჩვენებური ინტელიგენცია*)

(„თხზულებანი ია ეკალაძისა")

თედო ხომ იმ ინტელიგენტთაგანია, რომელთაც მუდამ პირზე აკერიათ ბრძოლა. მაშ რატომ არ შეებრძოლა თავის მოწინააღმდეგეს და არ მოინდომა, ბრძოლით მოეპოვებინა ბედნიერება, რაკი ნებაყოფლობით შეუძლებელი იყო? თედო იმდენად სუსტია ხასიათით, რომ არამც თუ ბრძოლას, უბრალო მეცადინეობასაც არ ვხედავთ მისი მხრით, რომ საყვარელი ფეფიკო მისი შეიქნეს. ვიდრე ფეფიკოს სხვა დანიშნავდა, ვიდრე ფეფიკო თავისუფალია, თედო ვერ ბედავს სიყვარულის გამჟღავნებას, ფეფიკოს ბედი გადაწყდა—სხვას უნდა გაყვეს, თედოს სიყვარული ახლა უფრო გაძლიერდა და გაცხოველდა, რასაკვირველია. მაგრამ იგი ვერც კი ბედავს, ფეფიკოსთან მივიდეს. გაიგებს, რომ ქალს იგი უყვარს, ბედნიერება მთლად დაკარგული არაა მისთვის. მაგრამ სხვას ვერასფერს მოიფიქრებს იმის მეტს, რომ თავს იკლავს რევოლვერით სწორედ მაშინ, როდესაც ფეფიკოს სახლიდან მხიარულების და სიხარულის ხმა მოესმის. ჩვენ დარწმუნებული ვართ, თედო რომ ენერგიული და მტკიცე ხასიათის ადამიანი ყოფილიყო, უთუოდ გაიმარჯვებდა. ფეფიკო თუ მიყვებოდა სხვას, სრულებით არა სიყვარულის გამო; ფეფიკოს მშობლები თუ იქნებოდნენ თედოს წინააღმდეგნი, მათი წინააღმდეგობა არ იქნებოდა უძლეველი. თედო კიდევ უფრო უნდა გაემხნევებინა და წაექეზებინა საბრძოლველად იმ გარემოებას, რომ მის ფეფიკოს, რომელიც ასე გაგიჟებით უყვარდა, ირთავდა უპატიოსნო ადამიანი. ჩვენი თედო კი მიუხედავად ყველაფრისა, საუკეთესოდ დაინახავს თავის მოკვლას და—სწორედ ფეფიკოს ეკკლესიიდან დაბრუნების დროს. შეიძლება თედოს ასეთი სიკვდილი პოეტიურ სიკვდილადაც მიაჩნდა.

აქ არ შეგვიძლია, არ მოვიგონოთ ეპიზოდი ლასსალის ცხოვრებიდან, რომელიც თედოსთან შედარებით მიუწდომელი დევ-გმირია, ზეციური ტიტანისებური არსება. როგორც ვიცით, ლასსალს შეუყვარდა ელენე დენიგესი, მაგრამ უკანასკნელის მშობლები წინააღმდეგნი იყვნენ, რომ ლასსალს გაჰყოლოდა მათი ქალი. შეურაცხყოფილმა ლასსალმა მთელი ქვეყანა შესძრა, ურიცხვი ხალხი დააყენა ფეხზე და აალაპარაკა, რათა ელენეზე ჯვარი დაეწერა. ასეთ დროს ასეთს წერილს სწერდა ლასსალი თავის სატრფოს: „მე დევის ძალ-ღონე მაქვს, მაგრამ გავაათასკეცებ მას, რათა შეიქნე ჩემი. დედამიწაზე ვერავინ ვერ წამართმევს შენს თავს, მხოლოდ შენ იყავი მტკიცედ და ერთგულად. მას შემდეგ, რაც ამის ეჭვი შემომეპარა, უბედურესი ადამიანი ვარ. საათში ათას სიკვდილს ვგრძნობ. მაგრამ ეს შეუძლებელია! შენ ვერ მიღალატებ მე, ასეთს ადამიანს, როგორიც ვარ მე, რომელსაც უსაზღვროდ უყვარხარ. მოჯაჭვული ვარ შენზე ალმასის ჯაჭვებით. მაგრამ ვიტანჯები ათასჯერ უფრო მეტად, ვიდრე პრომეთეოსი კლდეზე. ხოლო შენ თუ მიღალატებ მიუხედავად ფიცისა და ჩემის სიყვარულისა, მაშინ შეურაცხყოფილი იქნება ადამიანის ბუნება, მაშინ სასოწარკვეთილებას უნდა მივეცეთ უფლის სამართლის შესახებ, მაშინ სიცრუე იქნებოდა ყველაფერი, რაც კი არსებობს!.."

ამ წერილში გამოიხატება მთელი საკვირველი სიძლიერე ლასსალისა, რომელიც თავს შეაკლავთ, მაგრამ თავის უფლებას კი არ დაგითმობთ. ლასსალი იბრძოდა ისე, როგორც ათი ათასი მეომარი, გადაჰყვა ამ ბრძოლას, მაგრამ მისი უდროვო სიკვდილი სამუდამო სახსოვრად დარჩება, როგორც მშვენიერი მაგალითი ადამიანის ხასიათის სიმტკიცისა და ძლიერის ნებისა...

რა ბავშვები არიან და საბრალონი ჩვენი თედო, ტიმოთე, გენო და სხვანი მსგავსნი მათნი, ასეთს ადამიანთან შედარებით, როგორიცაა ლასსალი. გულით პატიოსანნი, კეთილშობილნი, რადგან სიკეთე (თუმცა ბუნდოვანი) სწადიათ, ხოლო სულით დატკბნი, ვერაფრის შემძლენი და მომქმედნი რადგან სასაცილო და მეტად მახინჯს მოვლენას წარმოადგენენ ჩვენს ცხოვრებაში!

მახინჯ მოვლენასო, ვამბობ, მაგრამ მახინჯია თვით ის ცხოვრება, რომელმაც წარმოშობა ისინი. რა სწადიათ ჩვენს გმირებს? უცებ და მოკლედ გიპასუხებენ იმ სიტყვებით, რომელიც სადღაც გაუგონიათ: ძმობა, ერთობა, თავისუფლება! თუ არა ამ მაღალის სიტყვებით, ისე არ გამოიხატება მათი მისწრაფება. მათ სწამთ სიდიადე ამ მისწრაფებისა, წამ და უწუმ იმეორებენ და თავი მოსწონთ, ტრაბახობენ მით, მაგრამ სად არის საქმე, ნაყოფი ამ მისწრაფებისა? რა მოიქმედა ილიკო ბედნაძემ, რომელიც ირგვლივ ძალ-მომრეობას, მონობას და უსამართლობას ხედავს, რომლის წინ, ვით ხელის გულზე, გადაშლილა ათასთა და ასათასთა აუტანელი მდგომარეობა; რომელსაც გლახის სალამურის ხმაშიც კი დაჩაგრულთა კვნესა ესმოდა? ნუ თუ ზურაბს და თედოს, რომელნიც ხალხის უბედურებაზე მოსთქვამენ მუდამ, სხვა ვერაფერი გაუკეთებიათ ამ ხალხისათვის, გარდა სკოლის დაარსების განზრახვისა! განზრახვისა, რადგან მათ განიზრახეს მხოლოდ, მათი საქმე მხოლოდ განზრახვაში გამოიხატა და დაარსებით კი არ დაუარსებიათ სკოლა. დამაბრკოლებელ მიზეზებმა ხელი შეგვიშალესო, იტყვიან. მართალია, ყველანი შებორკილნი ვართ ამგვარ მიზეზებით, მაგრამ არც იმდენად, რომ განზრახვის მეტი არაფერი შეგვეძლოს. ნუ თუ კურტნიან მუშების, შავი ხალხის, ჭუჭყიანების, ავადმყოფების, მშიერების, მწუწურვალების მდგომარეობამ დაღვრემილება მოჰგვარა გენოს და სხვა არაფერი, არ გაიტაცა სამოქმედოდ? ამ მშიერ-მწუწურვალებში ხედავდა საკუთარს თავს და მაინც იმდენი ძალა არ შესწევდა, რომ ხმა ამოეღო?..

სად არის აქ გულის ტკივილი, რომელიც ადამიანს ახწობს, სულს უხუთავს და ავადმყოფსაც კი გამოიყვანს გარეთ, რათა იბრძოლოს მისთვის, რაც მისი რწმენაა! სად არის აქ იდეალი, რომელიც აერთებს ადამიანის სულსა და ხორცს და გმირად შეჰქმნის უღონოსაც კი! ჩვენებურ ინტელიგენტებს განზრახვების მეტი არაფერი მოეპოვებათ. იმეორებენ სიტყვებს, რომლებიც წიგნებში ამოუკითხავთ ან შემთხვევით მოუტანია მათთვის ცხოვრების ნიავს. მათი მიჩლუნგული ნერვები მეტად სუსტად ჰგრძნობენ დღევანდელი ცხოვრების სიავ-კარგეს, მათი გული მეტად სუსტად სცემს მოძმისა და ქვეყნისათვის და ნება მოკლებულებს და უხასიათოებს არ ძალუძთ იმ მცირესი განხორციელებაც, რის შეგნება შესძლებია მათ გონებას. ილიკო, თედო, ტიმოთე, გენო, ზურაბი—რადაც ავადმყოფი ადამიანები არიან, წარმოშობილნი არა-ნორმალურ პირობების მიერ და იშვიათი, საინტერესო ტიპები არიან, როგორც გამომხატველნი ამა თუ იმ პირობების ზედ-მოქმედებისა ადამიანის ხასიათზე. მათი უბედურება და უმთავრესი ნაკლი ის კი არ არის, რომ ისინი მოკლებულნი არიან შესაფერ გონებრივ განვითარებას. არა, ადამიანი შეიძლება კიდევ უფრო განათლებული იყოს გონებით, მაგრამ ამასთანავე კიდევ უფრო უძლური და დატაკი იყოს სულით. მეორეს მხრით, ჩვენ ვიცით მრავალი შემთხვევა. ამის მაგალითებს ყოველ დღე ვხედავთ, რომ უბრალო, გაუნათლებელი ადამიანები იჩენენ ნამდვილ გმირობას და თავგანწირულობას, არიან შეუპოვარნი მებრძოლნი და თავის ღირსების და უფლების თავგამოდებულნი დამცველნი. ვინმე აფრიკელი გლეხი რომ ავიღოთ, მასშიაც კი ვპოვებთ მეტს სიძლიერეს და ენერგიას, ვიდრე ჩვენებურ ინტელიგენტში, რომელიც სწორედ ასის წლის ავადმყოფს, დაკუტულს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე ჯანსაღ ადამიანს, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში იმდენად დაბრმავებულია, რომ არც კი გრძნობს თავის ავადმყოფობას. ასე იციან ჭლექით შეპყრობილებმა: მათ სწამთ, რომ სრულებით ჯანმრთელად არიან და ღრმად სწამთ, რომ მოხუცებულებამდის გასძლებენ. ჩვენებური ინტელიგენტებიც სულიერი ჭლექით არიან დაუძლურებულნი, რომელიც ყოველ დღე სისხლს უშრობს

---

*) იხ. „ცნ. ფურც." № 2557.

ილენძის დასამუშავებლად დაარსდა სამ- ამადნო სამრეწველო ამხანაგობა.

◆ ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან მო- ლაქეთა რწმუნებულების დადგენილება. ამ ადგენილების ძალით, დასათხოვნი მოწმობები ყმაწვილ კაცთ, რომელნიც **უმაღლეს სწავლებელში აპირებენ** შესვლას, ამ ფუხულს უნდა აძლიოს მოქალაქეთა გამ- ობამ. გუბერნატორმა არ დაამტკიცა ეს დგენილება.

◆ იმ დასის უფროსად, რომელმაც ვენა- ბი **უნდა გამოიკვლიოს** გორისა, დუშე- ისა და ტფილისის მაზრებში, დაინიშნა რონომი დემენტიევი.

◆ ტფილისის მცხოვრებმა ქ-ნმა როს- ოვსკისამ სთხოვა გუშინ ქალაქის გამგეო- ს, ნება მისცეს ალექსანდრეს ბაღის შუა ულში **გამართოს ისეთი სამკითხველო,** ოგორიც პიატიგორსკის ბაღშია. სამკით- ელო გაიმართება ხის ქვეშ; პატარა შენო- იქნება მხოლოდ წიგნებისა და ჟურნალე- ს შესანახად. სამკითხველოში იქნება საუ- თესო ჟურნალ-გაზეთები ყველა ენებზე.

◆ ამას წინად ტფილისის ქალაქის გამ- ბამ სთხოვა ოლქის სასამართლოს თავ- ჯდომარეს, განკარგულება მოეხდინა, რომ ფილისში **ერთ მომრიგებელ მოსამართ-** ეს განეხილა მხოლოდ ისეთი საქმეები, მელიც სავალდებულო დადგენილებათა არღვევას შეეხება. გუშინ ოლქის სასამარ- ლოს თავმჯდომარემ აცნობა მოურავის ადგილეს, რომ მომრიგებელ მოსამართ- ეთა და იმათ თანაშემწეთ ძალიან ბევრი ქმეები აქვთ და ვერც ერთი ვერ მოიც- ის; თუ ქალაქის საბჭო გადასწყვეტს თა- ს ცულით მომრიგებელ მოსამართლის მო- ვევას და თვის დადგენილებას ამის შესახებ გადმომცემს, ვიშუამდგომლებ იუსტი- ის მინისტრის წინაშე, რომ ქალაქს ნება ეცეს საკუთარ მომრიგებელ მოსამართლის ლისაო. ამ საქმისათვის ქალაქს წელიწადში ჭირდება 5650 მან., ხოლო ერთ ხანად 50 მანეთი.

◆ ტფილისის საგუბერნიო სამკურნალო ამგეობამ გადასწყვიტა, თელავის მაზრის ოფელ **ენისელში დააარსოს სასოფლო ამკურნალო.**

◆ სიღნაღის მაზრის სოფელ კაბალში ყვა- ლი გაჩენილა.

◆ ამას წინად ქალაქის სასანიტარო კომისიამ ადგინა, განკარგულება მოახდინოს, რომ ტრამვაისა და მეეტლე-მედროგეების პატრონებმა სისუფთავისთვის საჯინიბოებში იატაკი ასფალტით დააგონ. საჯინიბოების პატრონთ საერთო განცხადება გადაუციათ კომისიისათვის. სწერენ, ცხენებისათვის მავნებელია ასფალტზე დგომაო. კომისიამ ეს განცხადება განიხილა და ასფალტის დაგება მაინც საჭიროდ სცნო, მხოლოდ დაადგინა, ასფალტი ზევიდან თიხით გალესონ იმ პირობით კი, რომ როცა თიხა გაიჟღენთება, აიღონ და ახალი დააგონ.

◆ მე-7 ნაწილის სასანიტარო მზრუნველმა პოლიციის წარმომადგენლებისა და თანაშემწეთა თანდასწრებით 23 ივლისს დაათვალიერა ქალაქის დედათა ვენერიულ სენით ავადმყოფთა სამკურნალო, გადამდებ ავადმყოფთა ბარაკები, ტფილისის პოლკის ყაზარმები და კერძო სახლები. მეტად ანტისანიტარულ მდგომარეობაში აღმოაჩინა დედა სამკურნალოსა და ყაზარმების ფეხსადგილები. მზრუნველმა შესაფერი განკარგულებანი მოახდინა.

◆ ტფილისის მაზრაში ყვავილი გაჩენილა. უკანასკნელ თორმეტი დღის განმავლობაში 11 სული გამხდარა ავად ყვავილით.

◆ 19 ივლისს თიანეთის მაზრის სოფ ინოსძირში, დუქანში, ნასვამებს ჩხუბი მოსვლიათ საპოლიციო დარაჯს ჩეკურიშვილს და ხევსურებს ულაყაურს, ტუჩა, სადარო და აფარე გოგოთურებს. ჩხუბის დროს ჩეკურიშვილი ხანჯლით მუცელში დაჭრილა და ამ ჭრილობისაგან ორი საათის შემდეგ მომკვდარა.

—

დღევანდელ ნომერთან ერთად ხელის მომწერთ ურიგდებათ **სურათებიანი დამატება № 239.** შინაარსი: „უბრალოდ დასჯილნი“, ა. სვირსკისა, თარგ. ნიკ. მ—შვილის მიერ; სურათები: „იესო ქრისტე ზღვაში“, სურათი გებგერტისა, ბრძოლა პორტ-არტურთან, ქართველი მაჰმადიანები ალი-ფაშა თავდგირიძე და მისი მხლებელნი და ოთხი კარიკატურა

პრესსა

„ნოვ. ობზრ.“-ს ბათუმიდან ატყობინებენ, რომ 19 ივლისს იქაურ ექიმთა საზოგადოებას კრება ჰქონია ხოლერის საწინააღმდეგო ღონისძიებათა შესახებ მოსალაპარაკებლად. სხვათა შორის, სახალხო ლექციების წაკითხვაზედაც ჰქონიათ ბაასი და

> ექიმმა ზარგარიანცმა წინადადება წარადგინა, ხოლერის შესახებ ლექციები სომხურსა და ქართულს ენებზედაც უნდა წავიკითხოთ, რადგან ადგილობრივ მცხოვრებთა უმრავლესობამ რუსული არ იცისო.

როგორც ხედავთ, ბ. ზარგარიანცის წინადადებაში არც უკანონო, არც უაზრო, არც უსარგებლო აზრი არ არის გამოთქმული. იმას მოუთხოვნია ისეთი რამ, რაც ყველგან კანონიერ და სასარგებლო ღონისძიებად ჩაითვლებოდა და რაც სხვაგან, მაგალითად ტფილისში, უკვე შემოღებულიც არის. მაგრამ ბათუმელ ექიმებს ამის შესახებ საკუთარი აზრი ჰქონიათ შედგენილი: „ნოვ. ობოზრ“.-ს კორესპონდენტის სიტყვით,

> ექიმი სოკოლოვსკი წინააღუდგა ბ-ნ ზარგარიანცს და ამტკიცებდა, საკმარისია მარტო რუსული ლექციები იქმნას წაკითხულიო. ექიმთა საზოგადოება თანახმა გაუხდა ბ-ნ სოკოლოვსკის.

როგორ მოგწონთ განათლებულ ექიმთა საზოგადოების საქციელი? ცხადათ არ ატყვიათ პ.ლმის ზედგავლენა? ხოლერით გამოწვეულ შიშის დროსაც-კი არ ავიწყდებათ „მაღალი პოლიტიკა“... დარწმუნებული ვართ, იმათი „alma mater“-ის კედლებიც-კი გაწითლდებიან სირცხვილისაგან, თუ გაიგებენ ბ. სოკოლოვსკისა და ამხ—ის „გმირობას“...

⁂

ბევრი რუსული გაზეთი დასცინის და სამასხაროდ იღებს იაპონელთ: რა შეუძლიათ, რას გახდებიანო; რას გვიზამს პატარა იაპონიაო და სხვა. ასეთი კილო ცრუ-პატრიოტებისა ბევრჯელ გაჰკიცხეს რუსულ სერიოზულმა გაზეთებმა, რომელნიც აფრთხილებდნენ, იაპონელი ღირსეული და ძლიერი მტერია და ფუქსავატური დაცინვა საკადრისი არ არისო. მაგრამ პატრიოტები თავისას არ იშლიან... სხვათა შორის, სერიოზული გაზეთი „პრომიშლ მირ“ სწერს ამის გამო:

> ცუდ სამსახურს უწევენ სამშობლოს ის პატრიოტები, რომელნიც მტერს უძლურად და ღარიბად გვიხატავენ. ცრუ პატრიოტულ სურათებმა და წერილებმა უკვე მოიტანეს ნაყოფი: ბევრგან, რუსეთში, გლეხები გაკვირვებით კითხულობენ, რატომ გრძელდება ასე დიდხანს ომი, თუ იაპონელები მართლა უძლურები არიან და მათთან ბრძოლა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენსო?!.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 ივლისი

ტოკიო. („რეიტერის სააგენტო“). 700 მოკლულისა და ბრძოლის ველზე დატოვებულთა გარდა რუსებმა ჩინელების სიტყვით, სიმუჩენთან ბრძოლის შემდეგ თან წაიღეს და წაიყვანეს დიდძალი მოკლული და დაჭრილი. კუროკი იტყობინება, რომ რუსების მარჯვენა ფრთამ კუშულინძთან მოქმედება დაიწყო და დაიჭირა სიმაღლეები იაპონელების მთავარ პოზიციის პირდაპირ. ამიტომ კუროკიმ გადასწყვიტა იერიშის მიტანა და უბრძანა ჯარებს წინ წასულიყვნენ: 18 ივლისს გაგზავნა რაზმი მარჯვნივ კუშულინძისაკენ, მარცხნით იანზელინისაკენ; რაზმებმა უკან დაახევინეს რუსების მარჯვენა ფრთეს. ადგილი მეტად უხერხული იყო იაპონელებისათვის. არტილერიამ გაუადვილა იერიში ქვეითა ჯარს. იაპონელებმა 9 საათზე აიღეს რუსების პოზიციები. იაპონელების ჯარმა ჯერ პირდაპირ მტრის შუაგულზე მიიტანა იერიში, მაგრამ საერთო იერიში დაგვიანდა, რადგან კუროკი იძულებული გახდა მოეცადა, რით გათავდებოდა საქმე მარცხენა ფრთეზე. რუსებმა რამდენჯერმე სცადეს კუშილინძის აღება, მაგრამ ამაოდ. მაშინ რუსებმა დაიწიეს უკანა პოზიციებზე. ადგილ-მდებარეობა მოუხერხებელი იყო მტრის სადევნელად. იანზელინთან ბრძოლაში იაპონელთა არტილერია მარჯვედ ვერ მოქმედებდა, რადგან ადგილის მდებარეობის მიზეზით ცხენები ვერ გამოდგნენ და ზარბაზნები ხელით აჰქონდათ ჯარის კაცებს. იანზელინის უღელტეხილის სიმაღლეები რუსების ოთხ ბატალიონს ეჭირა. იაპონელებმა პირდაპირის იერიშით სიმაღლეები ვერ აიღეს. ამიტომ იაპონელთა ერთი რაზმი აფოფხდა სხვა მთაზე, რომელიც რუსების პოზიციას დაჰყურებდა. ნაშუადღევს იაპონელები იერიშით მივიდნენ; არტილერიაც გააძლიერეს; მაგრამ მიუხედავათ ყველა ამისა, იაპონელებმა მხოლოდ მეორე დღეს წაართვეს რუსებს პოზიციები სასტიკის ბრძოლის შემდეგ.

ტოკიო. („რეიტ. სააგ.“). ოფიციალური ცნობა. სიმუჩენთან მყოფ ჯარიდან იუწყებიან, რომ სიმუჩენის ბრძოლაში იაპონელებს მოუკლეს 194 და დაუჭრეს 650 კაცი. იაპონელებმა შესაფერის პატივით დაასაფლავეს 700 რუსი და ხელთ ჩაიგდეს 6 ზარბაზანი, მრავალი თოფი, ყუმბარა, დიდძალი ფქვილი, ქერი და სხვა სურსათი.— კუროკი იუწყება, რომ კუშულინძსა და იანზელინთან მოხდარ ბრძოლებში ჩემმა ჯარმა დაჰკარგა 906 სალდათი და 40 აფიცერი; რუსებმა დაჰკარგეს, სულ ცოტა,

---

თ, ვიდრე სრული უმოქმედობის კარამდის არ ყვანს ყველა.

ჩვენებურ ინტელიგენტში მკვდარია საზოგა- ებრივი ინსტინქტი, მასში მოჩლუნგულია რძნო, რომელზედაც განუწყვეტლივ მოქმედობს, როგორც ელექტრონის ნაკადული, ცხოვრე- ს ყოველივე უსამართლობა და სიბოროტე თან აძლევს მას სამოქმედო ენერგიას, მასში არის თვითშეგნება და შეგნება გარშემო სხვულ წრისა, მასში დაბადებიდანვე მოკლუ- ია ნება, მისი ხასიათი შებორკილია, მისი ულო მოშხამულია. ასეთია ჩვენებური საუკეთესო ინტელიგენცია. გუწოდებთ მას „საუკეთესოს“, ადგან პატიოსანი განზრახვები მაინც შერჩენია. სვანს ამის მიზეზებს ქვემოდ დავუ- უნდებით, ეხლა-კი, გავაცნოთ ის ორიოდე არა ატიოსანი, არა-კეთილი ჩვენებური ინტელიგენტი, რომელნიც დაგვიხატა ია ეკალაძემ თავის ნაწ- ებში.

ახალგაზრდა ანდრია ავეაშვილი მასწავლებლად ნიშნეს და მის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. დღესვე წითელ არშიანი, კოკარდიანი ქუდი იხურა, საზაფხულო პალტო მხრებზე მოიგდო, ფებში დაიწკიპა და ასე გამოპრანჭულმა მთელს ქალაქში დაიწყო ყიალი. დადიოდა უაზროდ და ყველა გმაურთვილების თვალით ათვალიერებდა დამის, თითქოს უნდა, უტყუვ არსებასაც-კი გრძნობინოს, რომ იგი ჩინოვნიკია, მასწავლე- ბელი, სამსახურის კაცი, რომელსაც ჩინიც ექნება ჯამაგირიც. ამ ფიქრით გატაცებულმა ანდრიამ ჩადამ შეიკურტრუშა, მაგრამ ამ დროს ვიღაც გზავრი დაეჯახა. ანდრია ჯერ უსიამოვნოდ დაი- ღრიჯა და მერე ისეთნაირად შეჰბღვირა ხეპრე მგზავრს, თითქოს ეუბნება: შე თხერო, ვიღაც რომ არ დამეჯახო, არ იქნება; ვერა მხედავ მასწავლებელი ვარო! მთელი დღე დახეტიალობდა ანდრია. საღამოს რომ სახლში დაბრუნდა, ელი ღამე არ დაუძინია, სულ თავის ბედნიე- ებაზე—ჩინოვნიკობაზე ფიქრობდა. მეორე დღეს ამოეწყო და რკინის გზით გაემგზავრა თავის სამსახურის ადგილისკენ. იქ დაუყონებლივ გამოცხადდა უფროსის წინაშე და მორჩილებით მოწიწებით, თავმდაბლად გამოუცხადა: „ვეცდები, დავიმსახურო თქვენი და უმაღლესის მთავრობის ყურადღებაო“, და დიდი მადლობაც მიიღო უფროსისაგან. მალე გაიცნო უფროსი და სულ იმის ცდაში იყო, რომ მისი ყურმოჭრილი მონა მორჩილი ყოფილიყო. ერთხელ საპედაგოგიო საბჭოს სხდომა იყო და უფროსმა წინადადება შემოიტანა ერთი მოსწავლის შესახებ (რომელსაც ჟურნალი მოეპარა და დაეხია), რომ სკოლიდან უნდა გამოირიცხოსო. ერთმა მასწავლებელთაგანმა გაბედა და წინააღმდეგი აზრი გამოსთქვა: „სასწავლებელი ისეთი დაწესებულებაა, რომელიც მოზარდის გასწორებას უნდა სცდილობდეს და არა დასჯასო“. მაგრამ როდესაც შედგენილ იქნა პროტოკოლი უფროსის აზრის თანახმად, მოწინააღმდეგე მასწავლებელმა „ხათრი“ არ გაუტეხა უფროსს და თავის რწმენის მიუხედავად თავისი სახელი და გვარი კოხტად გამოსჭიმა განაჩენის ფურცელზე. ანდრია დაესწრო ამ კრებას, კარგად დაინახა, რომ უფროსს არ უყვარდა წინააღმდეგობა, რომ მასწავლებლები, რომელნიც „ურიის ცხენს“ ეძახოდნენ უფროსს ზურგს უკან, პირში უცინოდნენ და ელაქუცებოდნენ. ყველას ეშინოდა უფროსის რაპორტის და ჯერ თუ ანკარებით მოსდიოდათ, მერე დაარწმუნეს თავიანთი თავი, რომ უფროსთან სამართლიანი ლაპარაკი უზრდელობა, უკანონობა და უზნეობა არისო. ასე იცის ყოველმა კომპრომისმა: პირველი კომპრომისი ჩვენ თვითონ მიგვაჩნია უზნეოდ, მაგრამ ძალას და საჭიროებას ვუთმობთ; მეორე კომპრომისს კი სრულიად სამართლიანად და ზნეობრივად ვსთვლით.

ანდრიამ რა შეისწავლა უფროსის ხასიათი, მალე წინ გაუსწრო ყველა მასწავლებლებს. უფროსი შეაჯდა ზურგზე და თოხარიკივით დააჭენებდა. ძლიერ მადლობელი იყო უფროსი ანდრიასი და სულ იმის ქებაში იყო. ანდრია დაუხლოვდა ადგილობრივ საზოგადოებას, შეითვისა ინტელიგენციის ყალბი ლიბერალობა და მამულიშვილობა, ჰკვეროდა მაღალს სიტყვებს, ამბობდა მშვენიერს ტოსტებს, მაგრამ მეტად ფრთხილად და მორიდებით, რომ უფროსის ყურამდის არ მიეღწია მის ლიბერალობას. გარდა პირად, ეგოისტურ ინტერესებისა არაფერი არ არსებობდა მის ცხოვრებაში, მაგრამ საზოგადოებაში გავარდნილი ჰქონდა სახელი თავისუფალი მოაზრისა, მოძმის მოყვარულის და სხვებისათვის თავდადებულისა. იმდენად ეშმაკი და მოხერხებული კაცი იყო, რომ თავის ნაკლულევანებას ღირსებად აჩვენებდა სხვებს: საოცრად მხდალი იყო და ყველა კი დარწმუნებული იყო, დინჯი წინ-დახედული და სერიოზული ადამიანი არისო. როგორც მოგეხსენებათ, ისე ადვილი არა არის-რა ჩვენში, როგორც საზოგადო მოღვაწის სახელის დამსახურება. ანდრიაც მალე პირველ საზოგადო მოღვაწედ ითვლებოდა ქალაქში.

სამსახურში დაწინაურებული და საზოგადოებაში სახელ-განთქმული ანდრია სრულიად ბედნიერი იყო. მხოლოდ ერთი დარდი დარჩა: უნდოდა ლამაზი და მზითევიანი ქალი ჩაეგდო ხელში. მაგრამ აქ ბედმა უმტყუნა ჩვენს გმირს. ერთმა აზნაურიშვილმა მოატყუილა და ძალად შერთო თავისი ხნიერი ქალი ანდრია გაამწარა და გული მოუკლა ამ გარემოებამ და ქორწილის დღიდან ნამდვილ მტარვალად შეიქმნა თავის ცოლისათვის: მუდამ უმტიალებდა, უყვიროდა აყვედროდა რომ მზითევი არ მოგიტანიაო. უგინებდა დედ-მამას, აგინებდა მას თვითონ. უბრალო შემთხვევა საკმარისი იყო, რომ ჩხუბი აეტეხა ცოლისათვის. ჯერ მუჯლუგუნები შეახვია ცოლს, მერე იქამდის მივიდა, რომ ეცემოდა და მოურიდებლად სცემდა უზომოდ. ამავე დროს ანდრია გარედ, საზოგადოებაში ისევ ძველებურად ლიბერალობდა და ჰქადაგობდა სხვა და-სხვა კეთილშობილს აზრებს. ერთს წვეულებაზე ანდრიამ ასეთი ტოსტიც კი წარმოსთქვა: „თუ ღმერთს სდომოდა, რომ ქალი კაცზე დაბალი ყოფილიყო, მაშინ ღმერთი ქალს ადამის წვივიდან გამოიღებდა, ან თუ სდომოდა, რომ კაცზე მაღლა ყოფილიყო, მაშინ თავიდან გამოსჭრიდა. მაგრამ რადგანაც ღმერთმა კეთილინება და ქალი კაცის გვერდიდან, შუა ადგილიდან გამოსჭრა, ეს იმას ჰნიშნავს, რომ ქალი კაცზე არც მაღალია და არც დაბალი, მაშასადამე ქალნი და კაცნი ერთნი უნდა იყვნენ, ერთი უფლება უნდა ჰქონდეთო“! ასე ტკბილად ლაპარაკობდა ანდრია და სწორედ იმ ღამეს, წვეულებიდან დაბრუნების შემდეგ, სრულიად უმიზეზოდ ისე უმოწყალოდ სცემა ცოლს, რომ ქალმა ვეღარ მოითმინა, გარედ გამოვარდა და კივილით დაიწყო ყვირილი. ბოლოს ისე გაამწარა ანდრიამ თავისი ცოლი, რომ უკანასკნელი ლოგინად ჩავარდა და კიდეც გარდაიცვალა.

ჩვენ ზევით უკვე გახსენეთ ერთი სტუდენტი პეტრე, რომლის ძალმომრეობისაგან იხსნა ტომათემ მოსამსახურე გოგო. პეტრე ჯერ ცხოვრებაში არ გამოსულა, მაგრამ ახლავე ნათლად სჩანს, თუ რა ვაჟკაცი იქნება. ეს იმ სტუდენტოთაგანია, რომელთაც გარდა პირადი სიამოვნებისა—არშიყობისა, კარტის თამაშისა და ქეიფისა არაფერი აინტერესებთ. ამგვარს ტიპს ეკუთვნის განო ჩოფურაშვილი. განო ღარიბი ადამიანი იყო, სემინარია გაათავა და მერე უნივერსიტეტში შევიდა. მისი ერთად ერთი საგანი იყო, რომ დიპლომი მიეღო, სიღარიბისათვის თავი დაეღწია და „საზოგადოებაში“ გარეულიყო. ამხანაგობაში ყოველთვის უკან იდგა. არც ერთს საერთო საქმეში მონაწილეობას არ იღებდა (სტუდენტების კასის და სხვების შეკრებილ ფულებით კი სარგებლობდა, რომელიც დღესაც არ გადაუხდია). როგორც კი სტუდენტობაში რამე საქმე დაიწყებოდა, მაშინვე სამშობლოსაკენ გამოვრინდებოდა, რამეში არ გაერიოთ. აქ-კი მოჰყვებოდა ტრაბახობას, ვითომც პირველი მეთაური ის ყოფილიყოს. დღეს განო გადიდკაცებულია, ექიმია, კარგი ადგილი უკავია. აღარა სცნობს, არავის, თუ ვისმე მისთვის ოდესმე დახმარება აღმოუჩენია. ქართული საქმე არა სწამს, ქართულს თეატრში არ დადის, ქართულს გაზეთს არ ჰკითხულობს; „მეცნიერებას ვემსახურებით“, ამბობს. სულ ის სწადია, რომ ქვეყანა ავადმყოფებით აივსოს...

(დასასრული იქნება)

კალამი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2000 კაცი; რუსის 8 აფიცერი და 149 სალდათი ტყვედ წამოვიყვანეთ. ხელთ ჩავიგდეთ 2 საველე ზარბაზანი, მრავალი თოფი, ყუმბარა და კარავი. რუსებს განსაკუთრებით დიდი ზარალი მოუვიდათ 18 ივლისს ფხალინის უღელტეხილზე, კუბულინის სამხრეთით 5 მილის მანძილზე. იაპონელები შემორტყნენ უკან დახეულ რუსის რაზმს, რომელშიაო 3 ქვეითა პოლკი და 4 ზარბაზანი იყო, და ყოველის მხრიდან საოცრად დაუშინეს ყუმბარები. ბრძოლის ველზე გაჩნდნენ წითელის ჯვრის ბაირაღით რუსის სანიტარები, ამ დროს იაპონელებმა სროლა შეაჩერეს და რუსებს ნება მისცეს დაჭრილები წაეღოთ.

23 ივლისი

ილსფელდი. ცეცხლი გაჩნდა; 560 შენობიდან 310 შენობა გადაიწვა; სხვათა შორის დაიწვა ქალაქის თვით-მმართველობის შენობა და ეკკლესია.

მინსკი. ბობრუისკის მაზრის სოფლებში ციმბირის წყლული მძვინვარებს. ექიმები გაიგზავნენ საჭირო ზომების მისაღებად.

კოვნო. გენერალ-გუბერნატორი სვიატოპოლკ-მირსკი გაემართა გუბერნიის დასათვალიერებლად. ჯერ გემით (მდ. ნემანით) იურბურგში მივა, ხოლო იქიდან ცხენით პრუსიის საზღვარს ჩაჰყვება. გენერალ-გუბერნატორს ახლავან რამდენიმე მოხელე და ფრანგი მოგზაური ბარონ დე-ბაი, რომელმაც ჩრდილოეთ-დასავლეთის მხარე ისტორიულად და ეტნოგრაფიულად შეისწავლა.

ბაქო. ექიმთა კომისიამ მთავარ სამკურნალო ინსპექტორის ანრეპის მეთაურობით სცნო, რომ მიხეილის სამკურნალოში მყოფი ავადმყოფი გლეხი რეშეტნიკოვი ხოლერით არის ავად. რეშეტნიკოვი რჩება. ეს ხოლერიანი პირველია აქ. ანრეპი იმიერ-კასპიის ოლქში წავიდა.

ვაშინგტონი. სტამბოლში მყოფი ამერიკის ელჩი იუწყება, რომ დღემდე არ მიმიღია სულთანისაგან პასუხი იმის შესახებ, თუ რა უფლებები აქვთ ამერიკელ ქვეშევრდომებს ოსმალეთში. დროებით, ვიდრე ამ საქმის შესახებ მოლაპარაკებაა, ამერიკის სამხედრო გემები შეიძლება გიბრალტარში დარჩნენ, რათა მზად იყვნენ მხარი დაუჭირონ ამერიკის ელჩს.

ლონდონი. ლორდთა პალატა. გარეშე საქმეთა სტატს-სეკრეტარმა განაცხადა, რომ მაკედონიაში საქმე თანდათან უკეთესდება.

24 ივლისი

ვაშინგტონი. დღეს კაბინეტის სხდომა მოხდა რუზველტის თავმჯდომარეობით. კაბინეტმა დაწვრილებით განიხილა შეერთებულ შტატებისა და ოსმალეთის ურთიერთობა. მთავრობის წრეები უკმაყოფილონი არიან ოსმალეთის მოქმედებით.

სოფია. ღამე დაეცნენ თოფის წამლის საწყობს ქალაქის მახლობლად. დაჭრილმა დარაჯმა თოფი გაისროლა და სალდათები გამოიწვია, რომელთაც გაჰფანტეს თავდამსხმელნი. ბოროტმოქმედნი უკვალოდ დაიკარგნენ.

კოპენჰაგენი. „კელნიშე ცაიტუნგ“-ში დაიბეჭდა წერილი. ამ წერილში აღნიშნული იყო, რომ დანიას, შვეციასა და ნორვეგიას ჰსურთ სამუდამო ნეიტრალიტეტის შემოღება ყველა ომის დროს. ამ წერილის გამო „რიდცაუს სააგენტოს“ სარწმუნო წყაროდან ატყობინებენ, რომ დანია ამგვარ ხელშეკრულობას არა სდებსო, საზოგადო დადგენილებანი-კი ნეიტრალიტეტის შესახებ, რომელიც შეიმუშავა ჩრდილოეთის სამმა სახელმწიფომ განვლილ აპრილს, შეეხებოდა მხოლოდ რუსეთ-იაპონიის ომს.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ახალგაზრდა ქალს

ჰსურს ადგილი იქონიოს

აფთიაქებში, კანდიტერებში და მწერლის სხვა-დასხვა კანტორებში. ადრესი: ველიკოკნიაჟესკის ქ. № 19, არსიევის სახლი, სონა გულიევისა. (3—უ.—2)

ევალდ იანკოვსკი

კაფელის ფეჩები, ღუმელები.

სამზარეულოს პლიტები რკინისა და კაფელისა.

ფაიანსის ნაჭრები კედლებისათვის ფასები 25 მანეთიდან.

გამართვა აგურის ფეჩებისა და პლიტებისა.

საწყობი: ტფილისი, მიხეილის ქ. № 157.
ტელეფონი № 281.
(30—16)



Сѣдельн. специяльн

Безъ конкуренціи

Продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო ს. არანის ახლოს. (წ.—176—66)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, იმავე ბიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით, და წამლობით 1 მანეთიდან 3-მდე.

„ცოდნა“ ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები.

მიზანი „ცოდნის“ მაღაზიისა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასთვის ხელ-მისაწვდომ წიგნებისა. **მსურველთ** წიგნები ეგზავნებათ ფას დადებითაც.

იყიდება დასურათებული **ღია ბარათები** ჩვენ **მწერალთა** და **მსახიობთა**. ფასი თითო 5 კაპ

ადრესი: **Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.**

(50—28). წიგნის მაღაზიის გამგე **სოსიკო მერკვილაძე.**

ხიმიურ-ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტი

ექიმის ფ. მ. ბლიუმენტალისა.

ტელეფონი № 17, 85.

მოსკოვი, მილნიკოვის პატრა ქუჩა, სახლი № 4 (ხარიტონიევსკი ქუჩის კუთხე)

შრატის განყოფილებაში მზადდება შემდეგი სხვა და სხვა

სამკურნალო შრატი:

1. დიზენტერიის საწინააღმდეგო
2. ქუნთრუშის საწინააღმდეგო,
3. სტრეპტოკკოვის საწინააღმდეგო,
4. დიფტერიტის საწინააღმდეგო და სხვა.

(მც. 6. 2—2)

ტრიოხგორნი ლუდხანის ამხანაგობა მოსკოვში

ყოველ დღე ამზადებს 3.500,000 ვედრა საუკეთესო ხარისხის ლუდს, რომელიც დაჯილდოვებულ იქმნა სახელმწიფო გერბით 1882 და 1896 წ. წ. გამოფენაზე. ამხანაგობა ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ განიზრახა ყოველ დღე მიაწოდოს ადგილობრივ მომხმარებელთ ახლად დამზადებული ლუდი რაც შეიძლება ნაკლებ ფასად და ამიტომ დააწესა ლუდის გამოგზავნა ტფილისში საკუთარ საყინულე-ვაგონებით. ტფილისში ნარდათ სავაჭრო ცენტრალური საწყობი ურჩევს მსურველთ იყიდონ ხოლმე უმაღლეს ხარისხის ლუდი:

სუფრაზე სახმარებელი (თეთრი) დაწესებ. ფასი მაღაზ. 15 კაპ. ბოთლი (1/20) უჭურჭლოდ.
კულმბახის (შავი) „ „ „ 16 „ „ „ „

ბოთლები ფირმისა სახელმწიფო გერბით არის, კაპსიულებით. ცენტრალურ საწყობის კანტორა თავის თავზე იღებს ლუდის სახლში მიტანას: სუფრაზე სახმარებლისა 14 კაპ. ბოთლი, კულმბახისა 15 კაპ. ბოთლი (1/2 ვედრისა), ჭურჭლის ბე 6 კაპ.

ადრესი: პუშკინის ქუჩა, № 11, წურინოვის პასსაჟი. **ტელეფონი № 1013.**

შენიშვნა: ტფილისს გარეშე მყიდველთ, თუ მოისურვებენ, ლუდი გაეგზავნებათ პასტერის სისტემით დაწმენდილი (ექსპორტ) და ღვინის ჭურჭლებში ჩასხმული. (50—35—28)

ფირფიტები აპპარატები

უმაღლესის **ხარისხისა**

ყველას აკრავს ფაბრიკის **მარკა „მწერალი ამური“.**

კავკასიის უმთავრესი საააგენტო

სააქციონერო საზოგადოებისა გრამმოფონი

ტფილისი, გოლოვინის პროსპ., აბიანცის სახლი № 17.



კონკურენციის გარეშე!!

გრამმოფონი **„ტონარმ“**

მემბრანით **„ექსიბიშენ“**

მემბრანის „ექსიბიშენ“-**ის მეოხებით** გრამმოფონი-ტონ**არმ** იმდენად გაუმჯობესდა, **რომ ამ სახის** აპპარატები

მთელს!! დედამიწაზე საუკეთესოა!

უმთავრესი ღირსებანი „ტონარმისა“ „ექსიბიშენის“ მემბრინით შემდეგია:

ხმის გარკვევით გადაცემა!! თითქმის სრული უხმაურობა!! ხმის სიმშვენიერე!!

გრამმოფონ **„ტონარმ“-ს** „ექსიბიშენის“ მემბრინით ოთხი ტიპი აქვს

100 მანეთიდან 200-მდე.

მოყვარულთა განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ჩვენს ფირფიტებზე

„გიგანტ“,

რომელნიც ძალიან მოსწონთ. ამ ფირფიტების დიამეტრი 12 დიუიმია, რაც ნებას იძლევა ამ ფირფიტაზე მოქცეულ იქმნას მთელი არიები, ანსამბლები, საცეკვაო ხმები და სხვა **შეუმოკლებლად!!!**

ამ ფირფიტების დიდ დიამეტრის გამო, ჩვენმა ინჟენერებმა შესაძლოდ დაინახეს ხმის გაძლიერება, გამშვენიერება, გარკვევით გადაცემა; ამასთანავე დაცულია **ადამიანის ხმის ბუნებრივი ტემბრი.** ერთის სიტყვით ფირფიტა **„გიგანტი“** ადამიანის ხმას სავსებით გადასცემს, ასე რომ ცოცხალი მომღერალი გეგონება.

დიდი რეპერტუარი—15 ათასი დამზადებული ნომერი სხვა და სხვა ჟანრისა; ამათ ვუმატებთ ყოველ ორ კვირაში ახალ სერიების გამოცემათ; ამასთან **„გრამმოფონის“** საზოგადოება ჰყიდის მხოლოდ სრულიად უნაკლულო ფირფიტებს ტეხნიკისა და მუსიკის მხრით.

ტეხნიკური სიკარგე ჩვენის აპარატებისა და შესანიშნავის ხმის ფირფიტისა, რომელნიც გადაცემენ მსოფლიოს გამოჩენილ მომღერალთა ხმებს, მთელს ჩვენს წარმოებას აყენებენ

კონკურენციის გარეშე

კატალოგები მსურველთ უფასოდ ეგზავნება. ეხლახან გამოვიდა და იყიდება **ლიბრეტოების მთელი კრებული** გრამმოფონებისათვის. **რუსული რეპერტუარი.** ეს ლიბრეტო შეიცავს თითქმის 600 ნომერს ოპერისა და ოპერეტის **არიებისას, რომანსებისას,** სიმღერებისას, **ანსამბლებისა, ხოროებისას, კუპლეტებისას და ამბებისას. ამ კრებულის მეოხებით** ყოველს მსმენელს შეუძლია გაიცნოს ხმები, რომელთაც გრამმოფონი ასრულებს. **ფასი 1 მან. 50 კაპ.** (20—16)

ბუხჰალტერი-სპეციალისტი

(წელიწადი მეორე)

ამზადებს წელს ბევრად გადიდებულ პროგრამით როგორც ვაჟებს, ისე ქალებს თეორიულად და პრაქტიკულად ორმაგ იტალიანურ და მარტივ ბუხჰალტერიასა, საზოგადო სავაჭროსა და ბანკისასა, კომერციულ არითმეტიკასა, ფინანსიურ გამოანგარიშებასა, არითმეტიკას საანგარიშო ჩოთქით, კომერციულ კორესპონდენციასა, ვაჭრობის ისტორიასა, ვაჭრობის უფლებასა და ვექსილის კანონებში.

(ბანკის ბუხჰალტერია და ვაჭრობის ისტორია მსურველთათვის)

სწავლა ყოველ დღე საღამოს 5-დან 7 საათამდე, უქმეების გარდა. სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის გაათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ. ფასი მთელი კურსისა 60 მან. სწავლა დაიწყება ენკენისთვის 10-ს 1904 წ.

ადრესი: ტფილისი, **ალ. გ. საათაშვილს,** მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 17, მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად ყოველ დღე საღამოს 4-დან 9 საათამდის, კვირა-უქმეობით-კი დილის 9-დან 1 საათამდის და საღამოს 4-დან 9 საათამდის.

ვამზადებ ზემო აღნიშნულ საგნებში აგრეთვე იმათ, რომელთაც საღამოს 8-დან 9-საათამდის შეეძლებათ სწავლა და ამასთანვე თუ ბუხჰალტერიის შესასწავლად დასჭირდებათ საზოგადო არითმეტიკაშიაც. სწავლა გასტანს რვა თვეს ფასი მორიგებით და შეღავათიანად. სწავლის გათავების შემდეგ ატტესტატი მიეცემათ.

(15—258—2) **ალ. გ. საათაშვილი.**

გენერალნოე ობშჩესტვო

(Генеральное общество)

სიცოცხლის და სიკვდილამდის შემოსავალთა დაზღვევისა

აძლევს დამზღვევთ:

1) შეურყეველ გარანტიას, რომ უზრუნველჰყოფს ყველა ნაკისრ მოვალეობას; ამ გარანტიას წარმოადგენს: ა) საზოგადოების ძირითადი თანხა სამი მილიონი მანათისა (3.000.000), ბ) სათადარიგო თანხა, რომელიც სდგება საზოგადოების წმინდა მოგებიდან 10% გადადებით და გ) პრემიების სრულის სათადარიგო ჯამისაგან, რომელიც ინახება, მთავრობის ფაქტიურ კონტროლით, თანახმად 1898 წ. 11 მაისის კანონისა;

2) სრულს ხელუხლებლობას პოლისებისას და ყველა იმ ფულისას, რომელიც დამზღვევთ საზოგადოებიდან ერგებათ, არესტისაგან, გადაცემისაგან და სხვა;

3) უსათუოდ უცილებლობას პოლისებისას დაზღვევიდან 1 წლის შემდეგ.

4) პოლისების დაურღვევლობა დაზღვევიდან 3 წლის შემდეგ, ესე იგი, სამის წლის შემდეგ დამზღვევს ნება აქვს, თუ ჰსურს, შეაჩეროს გადასახადის შეტანა საზოგადოებაში და მიუხედავად ამისა, დარჩეს დაზღვეულად ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად;

5) პასუხის გებას, თუ დაზღვეულმა თავი მოიკლა.

6) მოგზაურობის სრულს თავისუფლებას;

7) სამსახურისა და პროფესიის სრულს თავისუფლებას;

8) პრემიების სიიაფეს;

9) განთავისუფლებას გადასახადებიდან, რომელიც საჭიროა პოლისების დასამზადებლად დააგრეთვე საგერბო გადასახადებისაგან;

10) უფლებას დაზღვევისათვის გადასახადის თვიურად შემოტანისას;

11, საზოგადოების მოგებაში მონაწილეობის ნებას იმის მიხედვით, თუ რამდენი ექნება დამზღვევს შეტანილი პრემია;

12) სესხს იმ პოლისების გირაოთი, რომელთაც 3 წლის განმავლობაში ძალა ჰქონდათ; სესხი გაიცემა 6%-ით;

13) უფლებას შეაჩეროს დროებით დაზღვევა და შემდეგ, თავისავე სურვილის თანახმად, კვლავ აღადგინოს იგი;

14) სამის თვის შეღავათს სავადო პრემიის გადასახდელად და სხვ...

საზოგადოების **გამგეობა** იმყოფება პეტერბურგს, ნევსკი პრ., 23. **ამიერ-კავკასიის ოლქის მმართველობა** ტფილისშია, გოლოვინის პრ., ოქროევის სახლი, ტელეფონი № 429.

აგენტები არიან ოლქის ყველა უმთავრეს ადგილებში. (100—31)